

დანართი №2
2019 წლის 4 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ე.ტ.№102-19 ხელშეკრულებაზე (NAT190005790)

ქ. თბილისი

20.09.2019წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი წერეთელის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „ჯ და ჯ“, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ჯეირან ომანაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2019 წლის 18 სექტემბრის №11212-2 მოხსენებითი ბარათის და 2019 წლის 4 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№102-19 ხელშეკრულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2019 წლის 4 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№102-19 ხელშეკრულებაში (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-15) ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ56 (კმ 55+722)-ზე, მდ. ჯონოულზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) და ხელშეკრულებაზე თანდართული სამემსრულებლო ნახაზების ნაწილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ამ დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი და შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული სამემსრულებლო ნახაზი (იხ. დანართი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ზემოაღნიშნული ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლას. შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

4. ეს დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი წერეთელი

მიმწოდებელი
შპს „ჯ და ჯ“
დირექტორი
ჯეირან ომანაძე